პროგრამის აღწერა	<p>სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების მთლიანი მოცულობის 2%-ს, რომელსაც ამ წესის შესაბამისად განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი – მერი.</p> <p>სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება: ა) ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ფარგლებში კატასტროფისაგან, ასევე სტიქიური მოვლენებისგან (ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, ჩამოცვენა, ჩამოშლა, ქვითა ცვენა, კარსტული ჩამოქცევა, ღვარცოფი, წყალდიდობა, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნა, ქარიშხალი, გრიგალი, ძლიერი ქარბუქი, დიდთოვლობა, ძლიერი ყინვა, მსხვილი სეტყვა, ძლიერი წვიმები, ხანგრძლივი წვიმები, კოკისპირული წვიმები, გვალვა, ზვავი და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენები) გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ხარჯები, გადაუდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების შედეგების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ხარჯები; საგანგებო და საომარი მოქმედების დროს შექმნილი საფრთხეებისგან მშვიდობიანი მოსახლეობის სარეზერვო და დაცვითი (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვითი) ღონისძიებების ხარჯები; ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის (ქვეპროგრამები), ღონისძიებები, რომლებიც განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას და მათი გათვალისწინება შეუძლებელი იყო ბიუჯეტის დამტკიცების დროს ან/და ამ ღონისძიების დაგვიანებით გატარებისაგან გამოწვეული ზიანი არსებითად აღემატება მასზე გასაწევი ხარჯისაგან სხვა მოსალოდნელ მატერიალურ სიკეთეს;</p> <p>http://www.matsne.gov.ge 01025002035158016272 გ) ხარჯები, როდესაც საფრთხე ექმნება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან საქართველოს კანონმდებლობით დაცულ სხვა სიკეთეს, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვა ხარჯები; დ) ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური, ქირურგიული და სხვა ფორმით მკურნალობისათვის, ხარჯები მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, ასევე ხარჯები საკრებულოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ პირთა ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მოქალაქეებისათვის, რომლებსაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს სამკურნალო ან მატერიალური უზრუნველყოფა და ვერ ხვდებიან „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესით“ გათვალისწინებულ კატეგორიებში; ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამით გათვალისწინებული ან/და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემდეგ მძიმე ან/და გადაუდებელი შემთხვევების დროს გასაწევი ხარჯები, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქონებას ან კანონით დაცულ სხვა სიკეთეს; აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული გადაუდებელი შემთხვევების (უცხო ქვეყანის ტერიტორიაზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა) დროს გასაწევი ხარჯები, როდესაც ოჯახს არ გააჩნია შესაბამისი ფინანსები; ე) ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები დაზიანებულ მდგომარეობაში არსებული საცხოვრებელი ფართის შეკეთების ან/და აღდგენის მიზნით, ასევე უსახლკაროდ დარჩენილ პირთა საცხოვრებელი ბინების შექმნისათვის ან დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე ხარჯები ისეთ პირთა საცხოვრებელი ბინების უზრუნველყოფის მიზნით, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი სახლები, თუმცა მასში ცხოვრება საფრთხეს წარმოადგენს მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის; ვ) ხარჯები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისეთი სამშენობის ჩატარებისათვის, როდესაც დაზიანდა ან განადგურდა საინჟინრო ინფრასტრუქტურა (გზა, ხიდი, ნაგებობა და სხვა) და აუცილებლობას წარმოადგენს, დროულად იქნეს ჩატარებული სამშენობი მუნიციპალიტეტის, მოსახლეობის კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით; ზ) ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მივლინებისათვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ; ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა სხვადასხვა კულტურული, სპორტული, საფესტივალო და სადღესასწაულო ღონისძიებების ჩასატარებლად; თ) ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ის ხარჯები, რომლებიც საჭიროა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდების სწავლის დასაფინანსებლად უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (რომელიც შედის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების სარეიტინგო სიაში) პოსტ-სამაგისტრო კვლევის, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე და რომელთაც მოპოვებული აქვთ სწავლის ნაწილობრივი დაფინანსება (არანაკლებ 70%-ისა).</p> <p>სარეზერვო ფონდიდან იკრძალება იმ პროგრამების (ქვეპროგრამების), ღონისძიებების დაფინანსება, რომლის ხარჯებიც უკვე განსაზღვრულია წლიურ ბიუჯეტში როგორც მიმდინარე, ისე კაპიტალური ხარჯები, თუ ეს საჭიროება არ დადგა ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმების შესაბამისად</p>



	ფონდის მიზანია, ბიუჯეტის გეგმაში შესაბამის პროგრამაში
პროგრამის მიზანი	გაუთვალისწინებელი გადასახდელების დროს, რესურსის გამოყოფა და დროულად აღმოფხვრა.

1. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი.(პროგრამული კოდი 01 04)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	1.4. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ფონდი.(პროგრამული კოდი 01 04)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მართვის და რეგულირების; მიმდინარე.
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.
პროგრამის აღწერა	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში შექმნილია წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება.

1.3. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური.(პროგრამული კოდი 01 05)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური.(პროგრამული კოდი 01 05)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მართვის და რეგულირების; მიმდინარე.
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური.
საშტატო რიცხოვნობა	12 ერთეული
პროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური ვალდებულია შეატყობინოს და გამოიძახოს ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე ან/და მოქალაქე, რომელსაც არ აქვს რეგისტრაციის ადგილი, – ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი, ექვემდებარება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას) სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდისთვის.
პროგრამის მიზანი	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესა.



საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება.(პროგრამული კოდი 01 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 06)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	1.5. საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადება.(პროგრამული კოდი 01 06)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მართვის და რეგულირების; მიმდინარე.
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია.
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში იგეგმება საჯარო მოსამსახურის მიერ დაკავებული თანამდებობისადმი დადგენილი საკვალიფიკაციო ცოდნის სავალდებულო მინიმუმში კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამის მიზანია საჯარო სამსახურის მაღალკვალიფიკაციური კადრებით უზრუნველყოფა. პროგრამა საჯარო მოხელეთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით გეგმავს.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია საკანონმდებლო ნოვაციების სწავლება და კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების გაცნობა; ცოდნისა და კვალიფიკაციის ზრდა, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესება;

2. ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13,240.40	15988.92	6,456.00	8,245.50	8,434.00	5,854.00
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	6,978.63	6,544.01	787.00	3,378.50	4,755.00	2,175.00
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,859.76	6,638.91	3,360.60	3,309.00	2,983.00	2,983.00
02 02 01	სარწყავი არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	0.00	684.20	0.00	0.00	0.00	0.00
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	404.57	672.64	427.60	30.00	30.00	30.00
02 02 03	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,088.67	2,591.03	1,270.00	1,300.00	1,300.00	1,300.00



02 02 06	ბინათმშენებლობა	1,032.30	1,092.94	12.30	328.30	2.30	2.30
02 02 07	სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა	570.71	618.31	650.00	650.00	650.00	650.00
02 02 08	სანიაღვრე სისტემების მოწყობა	0.00	90.50	0.00	0.00	0.00	0.00
02 02 10	კორპუსების მოვლა-პატრონობა	475.22	614.80	680.70	680.70	680.70	680.70
02 02 11	ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება	288.29	274.50	320.00	320.00	320.00	320.00
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	330.19	914.00	1,906.00	1,286.00	446.00	446.00
02 03 01	ქალაქის შემოსასვლელის, ქუჩების კეთილმოწყობა და ქალაქის ნაწილის რეაბილიტაცია	0.00	315.00	0.00	0.00	0.00	0.00
02 03 02	სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა	0.90	194.00	900.00	0.00	0.00	0.00
02 03 03	ცენტრალური პარკის მოვლა	329.29	405.00	446.00	446.00	446.00	446.00
02 03 05	ავტობუსების შექმნა	0.00	0.00	560.00	840.00	0.00	0.00
02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1,713.97	1,014.00	0.00	0.00	0.00	0.00
02 05	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	157.73	210.00	110.00	100.00	100.00	100.00
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	200.12	190.00	60.00	150.00	150.00	150.00
02 08	ბოლნისის მოდელი-წარმატებული მაგალითი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის	0.00	478.00	232.40	22.00	0.00	0.00

2.1.საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.(პროგრამული კოდი 02 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება

2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)



პროგრამა:	
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.1.საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 01)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.
პროგრამის აღწერა	მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს : გზების მიმდინარე (ორმოთხრილი) და ფრაგმენტული შეკეთება; გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტულების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ზზარების დამუშავება;
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია, ქალაქში და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში გამავალი გზების რეაბილიტაცია, რაც ქალაქისა და სოფლის გზებზე ავტოტრანსპორტის უფრო კომფორტულად გადაადგილებას უზრუნველყოფს და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური და მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის ეკონომიკის სამსახური.
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია , სარწყავი არხების, საკანალიზაციო, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სარიტუალო სახლებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.
პროგრამის მიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოსახლეობისა და მისი სტუმრებისათვის ესთეტიკურად მიმზიდველი,უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა; შინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა და განვითარება;

2.2.1. სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. (პროგრამული კოდი 02 02 02)



პრიორიტეტის, პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) 2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.2.2. სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. (პროგრამული კოდი 02 02 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;მერიის ეკონომიკის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის არსებული წყლის რეზერვუარების გაწმენდა-შეკეთება და რეაბილიტაცია, სოფლის მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა; სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობა, მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მაგისტრალზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესრულება და გამრიცხველიანება, რეზერვუარების რეცხვა-დასუფთავება, დეზინფექცია;
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების გამართვასა და შეუფერხებლად უსაფრთხო წყლის მიწოდებას მოსახლეობისთვის.

2.2.2. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.(პროგრამული კოდი 02 02 03)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.(პროგრამული კოდი 02 02 03)
ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის ეკონომიკის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, ისტორიული ძეგლებისა და ტაძრების ფასადების, სკვერებისა და ბულვარების განათებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათება . ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას.
ქვეპროგრამის მიზანი	ღამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

2.2.3. ბინათმშენებლობა.(პროგრამული კოდი 02 02 06)

	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
--	---



პრიორიტეტის, პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.2.5. ბინათმშენებლობა.(პროგრამული კოდი 02 02 06)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის ეკონომიკის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მუნიციპალიტეტში არის მრავალი ავარიული შენობები, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი სახლების შემცირებას. ავარიული შენობების ჩამოშლის სამუშაოების თავიდან აცილების შედეგად მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობების რეაბილიტაცია/მშენებლობა, საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება, მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის;

2.2.4. სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სარიტუალო მომსახურებისა და სასაფლაოების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 07)
ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	შ.პ.ს. რიტუალური მომსახურების სააგენტო; მერიის ეკონომიკის სამსახური.
	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი რიტუალური სახლების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა. 1. ბოლნისის ძველი სასაფლაოს დასუფთავება და მოვლა პატრონობა: ფართობი 6,4 ჰა, ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, ყოველდღიურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (1,2 ჰა) დასუფთავება, გავსებული ნაგვის კონტეინერების გატანა სასაფლაოს ტერიტორიიდან, სეზონურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (1,2 ჰა) ბალახისგან და მწვანე მასისგან გაწმენდა შხამქიმიკატებით დამუშავებით, გათიბვით. 2. ბოლნისის გეოლოგების სასაფლაოს დასუფთავება და მოვლა პატრონობა: ფართობი 3 ჰა, ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, ყოველდღიურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (2,4 ჰა) დასუფთავება, გავსებული ნაგვის კონტეინერების გატანა სასაფლაოს ტერიტორიიდან, სეზონურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (2,4 ჰა) ბალახისგან და მწვანე მასისგან გაწმენდა შხამქიმიკატებით დამუშავებით, გათიბვით. 3. დაბა კაზრეთის სასაფლაოს დასუფთავება და მოვლა პატრონობა: ფართობი 4 ჰა, ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, ყოველდღიურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (1 ჰა) დასუფთავება, ნგავსებული ნაგვის კონტეინერების გატანა სასაფლაოს ტერიტორიიდან, სეზონურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (1 ჰა) ბალახისგან და მწვანე მასისგან გაწმენდა შხამქიმიკატებით დამუშავებით, გათიბვით. 4. სოფელ რაჭისუბნის სასაფლაოს დასუფთავება და მოვლა პატრონობა: ფართობი 3 ჰა, ტერიტორიაზე განთავსებულია ნაგვის კონტეინერები, ყოველდღიურად ხდება სასაფლაოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (2 ჰა) დასუფთავება, ნგავსებული ნაგვის



ქვეპროგრამის აღწერა	<p>კონტინენტების გატანა სასფლავის ტერიტორიიდან, სეზონურად ხდება სასაფლავოს შიდა გზებისა და საფლავებს შორის ტერიტორიის (2 ჰა) ბალახისგან და მწვანე მასისგან გაწმენდა მხამქიმკატებით დამუშავებით, გათიბვით.</p> <p>5. ქალაქ ბოლნისის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესაძლებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 500 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).</p> <p>6. სოფელ რატევის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესაძლებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 500 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).</p> <p>7. სოფელ რაჭისუბნის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესაძლებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 300 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).</p> <p>8. სოფელ ქვეშის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესაძლებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 250 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).</p> <p>9. სოფელ ტანძის რიტუალების სახლის ექსპლუატაცია და მოვლა პატრონობა: რიტუალების სახლში შესაძლებელია საბანკეტო და სარიტუალო მომსახურება გაუწიოს 250 კაცს-რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საკუთარი შემოსავლებით. პერიოდულად ტარდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (წყალგაყვანილობის, გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობის, კარფნჯრის და სხვა.).</p>
ქვეპროგრამის მიზანი	არსებული რიტუალური სახლების და სასაფლაოების საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

2.2.5. კორპუსების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 10)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კორპუსების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 02 10)
ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ააიპ ბოლნისის კორპუსი.მერიის ეკონომიკის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ ბოლნისის კორპუსის დაფინანსებას, რომლის საქმიანობაც მოიცავს შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტების და ამ სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოზადებას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვას; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშესაწყობად პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობა. აღწერა-პასპორტიზაცია და განვითარება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარებაში ამხანაგობების ჩართულობა (თანამონაწილეობა) და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლება.

2.2.6. ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 02 02 11)

პრიორიტეტის და	
----------------	--



პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 02 02 11)
ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	მომსახურების მიწოდების. მრავალწლიანი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური; შპს აგრო-ცენტრი.
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროექტის კონკრეტული ამოცანები:ბოლნისის რეგიონალური აგრო-ბიზნესის კვანძად ჩამოყალიბების მიზნით ბიზნეს კლასტერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;მცირე და საშუალო საწარმოების და ინდივიდუალური მეწარმეების თანამშრომლობისა და კავშირების გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და რეგიონულ ბაზრებთან უკეთესად ხელმისაწვდომობის მიზნით;</p> <p>პროექტი მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: საწარმოო შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა და ადგილობრივ წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის დასადგენად სრულყოფილი კვლევის განხორციელება, ასევე მიწოდების წყაროების იდენტიფიცირება, რეგიონული აგრო-ბიზნეს ლოჯისტიკური კვანძის ტერიტორიაზე პერიფერიული მომხმარებლების საქმიანი ინტერესების შეფასება; საჯარო-კერძო დიალოგისთვის მდგრადი არხების შექმნა და დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვა გრძელვადიანი ინფორმაციის გაზიარებისა და კომუნიკაციის მექანიზმების შესანარჩუნებლად;</p> <p>აგროცენტრის ხელშეწყობით აგროწარმოებაში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესების დამხმარე შესაძლებლობებით(ხილ-ბოსტნეულის, ყველისა და სხვა ნაწარმის შეფუთვის და ღვინის ჩამოსხმის სერვისის მიწოდება);ფერმერებისა და ტურიზმის დარგში არსებული მეწარმეების დატრენინგება ბიზნესის მართვის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად; ყოველწლიურად 2 ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა/გაყიდვის მოწყობა. ჯამში მოეწყობა 4 გამოფენა/გაყიდვა.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	ბიზნესის განვითარებისა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების სტიმულირება მყარ ინფრასტრუქტურასა და მეწარმეთა ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში თანხების ინვესტირებით; საჯარო-კერძო დიალოგის წახალისება ფერმერული მეწარმეობის ხელშეწყობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით და ქალთა და ახალგაზრდობის ჩართულობაზე განსაკუთრებული აქცენტებით.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 02 03)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 02 03)
პროგრამული ბიუჯეტების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მომსახურებისმიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;მერიის ეკონომიკის სამსახური.
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების, შადრევნების მოვლა-პატრონობის და ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაციის ღონისძიებები.
პროგრამის მიზანი	მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს შექმნა.

2.3.1. სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)



პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) 2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 02 03)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.3.2. სკვერებისა და შადრევნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭირო არსებული სკვერების და შადრევნების მოწყობა/რეაბილიტაცია, ელექტროენერჯისა და წლის მიწოდება .
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის და ტურისტებისთვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა.

2.3.2. ცენტრალური პარკის მოვლა (პროგრამული კოდი 02 03 03)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 02 03)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ცენტრალური პარკის მოვლა (პროგრამული კოდი 02 03 03)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური; შ.პ.ს. ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ , რომელიც ახორციელებს ბოლნისის ცენტრალური პარკის და დაბა კაზრეთის პარკის მოვლა-პატრონობას, ცენტრალური პარკის განათებას, ფასადის რეაბილიტაციას, მოსახლეობის სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო და სპორტულ- გამაჯანსაღებელი მომსახურების მიზნით სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ ლოკაციის მოწყობას, სკვერის დასუფთავებას,გამწვანების აქციებს, რაც გამოიხატება პარკების და სკვერის მწვანე ნარგავების (ხეები, ბუჩქები, გაზონები) განაშენიანებით, მოვლით, კეთილმოწყობითა და დაცვით.
ქვეპროგრამის მიზანი	ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული, მშვიდი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი გარემოს შექმნა ვიზიტორთათვის.

2.6. საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	2.ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	2.6. საპროექტო დოკუმენტაციის და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 06)



პროგრამული ბიუჯეტების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
პროგრამის აღწერა	საზედამხედველო სამუშაოების დაფინანსება ხორციელდება 2019 წლის N128/01/19 ხელშეკრულების საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული 50000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე.
პროგრამის მიზანი	სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.

2.8. ბოლნისის მოდელი-წარმატებული მაგალითი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის (პროგრამული კოდი 02 08)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბოლნისის მოდელი-წარმატებული მაგალითი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის (პროგრამული კოდი 02 08)
პროგრამული ბიუჯეტების იერარქია	მერიის ეკონომიკის სამსახური
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროექტის კონკრეტული ამოცანები: ბოლნისის რეგიონალური აგრო-ბიზნესის კვანძად ჩამოყალიბების მიზნით უკვე შექმნილი აგროცენტრისთვის - აგროპროდუქტების, კულტურების, რძის პროდუქტებისა და ღვინის ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის შექმნას, რაც უზრუნველყოფს აგროცენტრის ფუნქციონირების მდგრადობას და გააძლიერებს მის როლს წარმოების ღირებულების ჯაჭვში. აგროცენტრის ბაზაზე ბოლნისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის შეიქმნება ვებგვერდი და ელექტრონული აპლიკაცია. ვებ-გვერდი და აპლიკაცია შექმნის ელექტრონულ ბაზარს ადგილობრივი პროდუქტებისთვის. ინფორმაცია ადგილობრივი წარმოების ღირებულების, ყველის და ნებისმიერი სხვა წარმოების შესახებ განთავსდება ელექტრონულ ბაზარზე. ჰაერის დაბინძურების ზემოქმედების შერბილების, წყლის უსაფრთხოებისა და ნარჩენების მართვის საკითხებზე კვლევის ჩატარება და „მდგრადი და მწვანე ქალაქის“ სტრატეგიის შექმნა. რის შემდეგაც მოეაწეობა მწვანე ქალაქის საპილოტე სადემონსტრაციო ადგილი, რომელიც შეირჩევა ქალაქ ბოლნისის რეაბილიტირებულ „კატარინენვლდის“ ისტორიულ უბანში. ადგილი გახდება „მწვანე ქალაქის“ საპილოტე სადემონსტრაციო ნიმუში.
ქვეპროგრამის მიზანი	აგროპროდუქტების ლაბორატორიის შექმნით ადგილობრივი ბიზნესის წარმოების შესაძლებლობების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ბიზნესის სტიმულირების ინოვაციური ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, კერძო საჯარო პარტნიორობის მოდელების დანერგვასა და მონიტორინგში; „კატარინენვლდის“ ტერიტორიაზე გამწვანების ღონისძიებების განხორციელების გზით ბოლნისის მიმზიდველ ტურისტულ და საცხოვრებელ ადგილად გადაქცევის ხელშეწყობა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა.(პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება ეკოლოგიური მდგომარეობა, მუნიციპალიტეტისათვის აუცილებელ და მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს მისი დასუფთავება, უპატრონო ცხოველებისაგან იზოლირება და ხეების გადაბეღვა, მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა.



პროგრამ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,460.3	3,098.2	3,745.0	3,920.0	3,290.0	3,290.0
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1,735.3	2,300.7	2,880.0	3,090.0	2,460.0	2,460.0
03 02	ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება	725.1	797.5	865.0	830.0	830.0	830.0

3.1. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	დასუფთავება და გარემოს დაცვა.(პროგრამული კოდი 03 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური; შ.პ.ს. კომუნალური მეურნეობა.
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის დროს განხორციელდება ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება დასახლებულ პუნქტებში ქვეწარმავლების დაჭერა - უსაფრთხო ადგილზე გაყვანის მომსახურება.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და უსაფრთხო ეპიდგარემოს უზრუნველყოფა.

3.2 ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (პროგრამული კოდი 03 02)]

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	დასუფთავება და გარემოს დაცვა
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ნარგავების მოვლა-პატრონობა, გამწვანება (პროგრამული კოდი 03 02)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკის სამსახური; ა(ა)იპ ბილნისის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური
	პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები.



პროგრამის აღწერა	<p>მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ბოლნისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა;</p> <p>სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; მოსახლობის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია გამზმარი ხეების მოჭრისა და გადაბეღვის სამუშაოების წარმოება. მეორეს მხრივ, ჯანმრთელი ხეების გადაბეღვით სამუშაოები ხელს უწყობს მათი სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხდება საშემე მერქანის დამზადება და სოციალურად დაუცველ ოჯახებზე დარიგება. ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა.</p>
პროგრამის მიზანი	საზოგადოებისთვის ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგამანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	3850.9	4386.6	4483.0	4158.0	4158.0	5308.0
04 01	სკოლამდელი განათლება	3242.1	3458.0	4200.0	3900.0	3900.0	5050.0
04 01 01	ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“	2966.2	3442.0	3900.0	3900.0	3900.0	3900.0
04 01 02	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	275.9	16.0	300.0	0.0	0.0	1150.0
04 02	უნარშეზღუდული	200.3	228.5	258.0	258.0	258.0	258.0



	ბავშვების ხელშეწყობა						
04 03	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	408.5	700.1	25.0	0.0	0.0	0.0

4.1. სკოლამდელი განათლება.(პროგრამული კოდი 04 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	4. განათლება. (პროგრამული კოდი 04 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	4.1.სკოლამდელი განათლება.(პროგრამული კოდი 04 01)
პროგრამული ბიუჯეტური იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბავშვების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბავშვების მასივალურ გამტარუნარიანობას და სხვა.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია, სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

4.1.1. ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება" (პროგრამული კოდი 04 01 01)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	განათლება. (პროგრამული კოდი 04 00); სკოლამდელი განათლება. (პროგრამული კოდი 04 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება" (პროგრამული კოდი 04 01 01)
ქვეპროგრამული ბიუჯეტური იერარქია	მომსახურების მიწოდება: მრავალწლიანი
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება.
	პროგრამის ობიექტია ა(ა)იპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“-ში შემავალი საბავშვო ბაღები და ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის (სასკოლო მზაობის პროგრამის) დღის ცენტრები, მათი საქმიანობის ორგანიზება და კოორდინაცია, აღსაზრდელების სკოლისათვის მზაობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო



ბაღები. ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის თითოეული ბავშვისთვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლება. 12 საბავშვო ბაღსა და 4 ალტერნატიულ სკოლამდელი განათლების დღის ცენტრს 5 სააღმზრდელო ჯგუფით, რომელიც დღისათვის ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს, მხოლოდ 1300 ბავშვის მომსახურება შეუძლია. იმისათვის, რომ თითოეულმა სკოლამდელი ასაკის ბავშვმა ისარგებლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით-მიიღოს ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ხარისხიანი სკოლამდელი განათლება- საჭიროა ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ადაპტირებული გარემოს მისადაგებით; ახალი ალტერნატიული სკოლამდელი განათლების დღის ცენტრების გახსნა იმ სოფლებში, სადაც არ არის საბავშვო ბაღები. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ, როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. ამიტომ ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადრეულ ასაკშივე საჭირო გარემოსა და პირობების შექმნა. საბავშვო ბაღის დამთავრებისას, ბავშვს აუცილებელია ჰქონდეს სათანადო სასკოლო მზაობა. ამისთვის კი ხარისხიანი მუნიციპალური სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნაა საჭირო, რომელიც ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით მიიღწევა ჯგუფებში აღმზრდელთა და აღსაზრდელთა თანაფარდობით-1:13, 1:15, აღმზრდელთა და სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებით; დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოწყობითა და ხელმისაწვდომი, მათ შორის, ღია, მასალებით აღჭურვილი; მრავალფეროვანი და ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების (ილუსტრირებული წიგნები, ფერადი თვალსაჩინოებები, სათამაშოები, საკანცელარო ნივთები, სხვადასხვა სახარჯი მასალები და .შ.) გამოყენებით, რომელთა ერთობლიობა ხელს უწყობს თითოეული ბავშვის მრავალმხრივ და ჰოლისტურ განვითარებას; უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნით; ამ სფეროში არსებული ყველა სტანდარტისა და ტექნიკური რეგლამენტის დაცვითა და დანერგვით.

ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამის მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

4.1.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	4. განათლება. (პროგრამული კოდი 04 00) 4.1.სკოლამდელი განათლება.(პროგრამული კოდი 04 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	4.1.2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტური იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მიმდინარე რემონტი.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

4.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 04 02)

პრიორიტეტის დასახელება,	
-------------------------	--



რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება. (პროგრამული კოდი 04 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შშმ ბავშვების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 04 02)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლო სარეაბილიტაციო ცენტრი განთიადი.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ა.ა.ი.პ. „ განთიადის“ დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებასა და მათ ჩართულობას კულტურულ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, ბავშვთა მომზადებას ინკლუზიური განათლებისათვის. პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განვითარების ხელშეწყობა და მათი განათლება უნარების მიხედვით.
პროგრამის მიზანი	შშმ პირთა სახელმწიფოებრივი აზროვნების, ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში ინკლუზია;

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებს, როგორც ქვეყნის მრავალმხრივი განვითარების ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს სეგმენტს, ბევრ სხვა სიკეთებთან ერთად მისი წილი ეკონომიკის ადგილობრივ დონეზე გაჯანსაღებაში არანაკლებ პატარა მოცულობისა შეიძლება გავხადოთ თუ მისადმი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება მოხერხდება თანამედროვე მიდგომებით, მაგ: შემოქმედებითი და სპორტული ინდუსტრიების შექმნა, როგორც დასაქმებისა და ტურიზმის განვითარებისათვის ეფექტური ხელშეწყობი ფაქტორი;

- კულტურაზე ეფექტური ხელმისაწვდომობა, კულტურის კერების შექმნა და აღდგენა, სახელოვნებო განათლების და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.
- ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა: ეკლესიების, მონასტრებისა და ციხე - სიმაგრეების რესტავრაცია - აღდგენის, მოვლა - პატრონობისა და სულიერების აღორძინებისათვის.
- სპორტის, როგორც ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ეფექტური შესაძლებლობის დამკვიდრება და ხელშეწყობა, აგრეთვე მასობრივ სპორტზე მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობა, სპორტული კერების შექმნა და აღდგენა, სპორტული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.
- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრისა და სახვადასხვა თემატური აქტივობების განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროები ადგილობრივ დონეზე დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს

- კულტურისა და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია;
- მრავალფეროვანი კულტურული ტრადიციების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით;



- ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის, საქართველოს ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობა;
- სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა;
- მწვრთნელ - მასწავლებელთა და სპორტსმენტთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;
- სპორტული მოედნების მშენებლობა - რეკონსტრუქცია;
- ახალგაზრდული ცენტრების შექმნა და მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა.
- ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერა და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6883.4	8042.1	8807.7	8247.9	8247.9	10647.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3357.4	3926.5	4125.2	4000.2	4000.2	6400.2
05 01 01	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2663.6	2956.6	3428.2	3303.2	3303.2	3303.2
05 01 01 01	ა(ა)იპ - სკოლიგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი	1194.0	1309.4	1455.0	1430.0	1430.0	1430.0
05 01 01 02	ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“	148.5	155.0	183.2	183.2	183.2	183.2
05 01 01 03	ა(ა)იპ - რაგბის კლუბი ბოლნისი	1000.1	1135.1	1400.0	1300.0	1300.0	1300.0
05 01 01 05	აიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა	321.0	357.1	390.0	390.0	390.0	390.0
05 01 02	სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია	693.8	969.9	697.0	697.0	697.0	3097.0
05 01 02 01	სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვა და მოწყობა	70.3	322.9	0.0	0.0	0.0	2400.0
05 01 02 02	აიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური	623.5	647.0	697.0	697.0	697.0	697.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2790.0	3237.8	3770.0	3470.0	3470.0	3470.0



05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2656.9	3227.8	3470.0	3470.0	3470.0	3470.0
05 02 01 01	ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი	353.9	568.8	590.0	590.0	590.0	590.0
05 02 01 02	ა(ა)იპ - ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	277.6	283.0	310.0	310.0	310.0	310.0
05 02 01 03	ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2025.4	2376.0	2570.0	2570.0	2570.0	2570.0
05 02 02	კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები	133.1	10.0	300.0	0.0	0.0	0.0
05 03	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	11.7	20.0	60.0	30.0	30.0	30.0
05 04	ეპარქიის დაფინანსება	360.0	360.0	360.0	360.0	360.0	360.0
05 05	საგამომცემლო საქმიანობა	147.0	182.0	192.5	177.7	177.7	177.7
05 06	განცხადებები, რეკლამა და საეთერო დრო	4.9	96.0	90.0	0.0	0.0	0.0
05 07	წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება	200.4	195.0	170.0	170.0	170.0	170.0
05 08	ინიციატივების თანადაფინანსება	2.4	20.0	10.0	10.0	10.0	10.0
05 09	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	9.6	4.9	30.0	30.0	30.0	30.0

5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური და მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.
	პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას. სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; გონებრივი, სულიერი და



პროგრამის მიზანი	ფიზიკური აღზრდის გზით ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ.
------------------	---

5.1.1. სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) 5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.1.1. სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“-ს, ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის მიუდოს სკოლის“, ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“, ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონას“, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების წრები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს სპორტულ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივ ჩართულობას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას.

5.1.1.1. ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი(პროგრამული კოდი 05 01 01 01)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) ქვეპროგრამა - სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი (პროგრამული კოდი 05 01 01 01)
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ღონისძიების განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის , განათლების, კულტურისა და სპორტის; სამსახური; ა.ა.ი.პ. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი.
ღონისძიების აღწერა	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის საქმიანობა ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“, რომელიც ემყარება ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიტარულ და კულტურულ ღონისძიებებს, ისტორიულ გამოცდილებას, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. აღნიშნული ღონისძიება თავის მხრივ ხელს უწყობს ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სპორტსმენების სასწავლო წვრთნების და შეკრებების ჩატარებას, მათი ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე მონაწილეობას, საქართველოს ნაკრებ გუნდებისათვის სპორტული რეზერვების მომზადებას, მეტი რაოდენობის მოზარდების ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში , მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და გოგონათა ჩაბმა აქტიურ სპორტში. ახალგაზრდების ფიზიკურ, გონებრივ, ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებას.



	<p>ლონისძიება თავის მხრივ ითვალისწინებს თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე მომზადებას და ლიცენზირებას, სპორტულ შეჯიბრებებზე მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას, სპორტსმენთა ეკვიპირებას, მგზავრობის, კვების და სხვა საჭირო ხარჯების გაწევას.</p> <p>ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელ კომპლექსში ფუნქციონირებს სპორტის 9 სახეობა, რომელშიც გაერთიანებულია 679 სპორტსმენი და ემსახურება 59 მწვრთნელი.</p>
ლონისძიების მიზანი	<p>ლონისძიების მიზანია დაწესებულების გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის ფართო ფენებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და განმტკიცება, თავისუფალი დროის ფიზიკური აღზრდითა და სპორტული აქტივობების შევსების გზით, მომავალი თაობის ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, მორალური და კულტურული განვითარებისათვის ხელშეწყობა.</p>

5.1.1.2. ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ (პროგრამული კოდი 05 01 01 02)

პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	<p>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)</p> <p>სპორტის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01)</p> <p>სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)</p>
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	<p>ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ (პროგრამული კოდი 05 01 01 02)</p>
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	<p>მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.</p>
ღონისძიების განმახორციელებელი	<p>მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“.</p>
ღონისძიების აღწერა	<p>ისეთი მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების მქონე ქვეყანა, როგორც საქართველოა, ნიშანდობლივია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტშიც წლიდან წლამდე მზარდი პოპულარობის ფაქტორი ხდება და დღეისათვის, განსაკუთრებით მომავალი თაობაში ერთ - ერთ მიმზიდველ სპორტულ სახეობადაა წარმოდგენილი.</p> <p>ინტელექტუალური თამაში, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები, ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციისა და თვითშეფასების უნარების ჩამოყალიბებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას და სხვა.</p> <p>საჭადრაკო სკოლა ნონა ემსახურება ჭადრაკის პოპულარიზაციას და მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმას წადრაკის სექციებში. საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის მარალი კვალიფიციური სპორტული რეზერვების მომზადებას, სპორტული მიღწევების გაუმჯობესებას და წარმატებულ გამოსვლას სასკოლო შეჯიბრებებზე.</p>
ღონისძიების მიზანი	<p>ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“ ფუნქციონირების ხელშეწყობა და ბავშვთა და მოზარდთა გონებრივი და ინტელექტუალური განვითარება.</p>

5.1.1.3. ა(ა)იპ - რაგბის კლუბი ბოლნისი (პროგრამული კოდი 05 01 01 03)



პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“ (05010103)
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდება და მრავალწლიანი.
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“.
ღონისძიების აღწერა	<p>ქართული რაგბის განვითარება კვლავ ინარჩუნებს თავის ძირითად მიზანს, რაც გულისხმობს ქვეყანაში რაგბის შემდგომ განვითარებას და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული რაგბის ღირსეულად წარმოდგენას.</p> <p>ბავშვთა რაგბის განვითარების ეგიდით მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდა, ქართველებთან ერთად მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომავლობის ბავშვთა და მოზარდთა ინტეგრაციას. სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბებას და მათ მონაწილეობა სრვ ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში.</p> <p>ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ ხელშეკრულება NI საფუძველზე, განხორციელდება ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო სახსრების გაერთიანება ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“-სთვის, რომლის მიზანს წარმოადგენს რაგბის ერთობლივ განვითარებას და შემდგომ პოპულარიზაციას. მხარეების მიერ გაერთიანებული საბიუჯეტო სახსრები მოხმარდება ააიპ რაგბის კლუბი ბოლნისი მიერ განსახორციელებელ შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში, მორაგბეების ფიზიკური და სათამაშო კონდიციების შენარჩუნება; • მორაგბეების მწვრთნელებით, ექიმ-მასაჟისტებითა და სხვა აუცილებელი პერსონალით უზრუნველყოფა; • ბავშვთა რაგბის განვითარება; • რაგბის პოპულარიზაცია (რაგბის ტურნირების და სხვა მსგავსი სპორტული ღონისძიებებისმოწყობა);
ღონისძიების მიზანი	რაგბის კლუბი ბოლნისის ფუნქციონირების ხელშეწყობა და ჯანსაღი თაობის აღზრდა.

5.1.1.4. ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 05)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01 05)
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ააიპ სსსდ ბოლნისის ძიუდოს სკოლა.
ღონისძიების აღწერა	ძიუდოს სკოლა გემავს და ანხორციელებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობის სპორტული სახეობებით - ძიუდო, სამბო და ქართული ჭიდაობით დაინტერესებას. ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის გამართული გარემო პირობების შეთავაზებას, მათვის განსაზღვრავს და ორგანიზებას უკეთებს ეფექტური სასწავლო წვრთნებისა და შეკრებების ჩატარებასა და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებს გამართვას. აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო მატაბის შეჯიბრებებსა და ტურნირებზე მონაწილეობას, საქართველოს ნაკრები გუნდებისთვის კონკურენტუნარიანი რეზერვის მომზადებას. ზრუნავს ქალთა და ვაჟთა სპორტის თანაბრად განვითარებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდაზე.



მიუდოს სკოლაში არსებული მწვრთნელთა და ბენეფიციართა რაოდენობა, სპორტული სახეობების მიხედვით:
 მწვრთნელთა რაოდენობა ჯამში: 15
 ბენეფიციართა (ბავშვი და მოზარდი) რაოდენობა ჯამში: 179
 -ძიუდო - 120 ბავშვი და მოზარდი, 11 - მწვრთნელი (ქ. ბოლნისი. სოფ. ტანძია და დ. თამარისი);
 -სამბო - 36 ბავშვი და მოზარდი, 3 - მწვრთნელი, (ქ. ბოლნისი. სოფ. ტანძია და დ. თამარისი);
 -ქართული ჭიდაობა - 23 ბავშვი და მოზარდი, 1 - მწვრთნელი (ქ. ბოლნისი).

ლონისძიების მიზანი

მომავალი თაობის თავისუფალი დროის ფიზიკური აღზრდითა და სპორტული აქტივობებით შევსება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და განმტკიცება.

5.1.2 სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 02).

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) 5.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.1.2 სპორტული ობიექტების მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 02).
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების (სპორტული დარბაზები, მოედნები, არენები, სტადიონები, სარბენი ბილიკები) მშენებლობას, მოწყობას, რეაბილიტაციას, ექსპლოატაციასა და მოვლა-პატრონობას; ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის, რომლის მთავარი ფუნქციაც სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვაა.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების საშუალება ექნებათ.

5.1.2.2. ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01 02 02).

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) სპორტის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 01) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01 02 02).
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური.
ღონისძიების აღწერა	ღონისძიების ფარგლებში ფინანსდება ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური, რომლის მთავარი ფუნქციაც სპორტული შენობა-ნაგებობების მოვლა-შენახვაა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფეხბურთო სტადიონებზე და სპორტული მოედნებზე სხვადასხვა სახის ტურნირების და საერთაშორისო თამაშების ჩატარების ხელშეწყობა, ცენტრალური სტადიონის მინდვრის საფარის გადატესვა და ტრიბუნებზე სავალი ბილიკების შეკეთება, საშაპებისა და საპირფარეშოების შეკეთება.



	ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობა და ახალგაზრდებისთვის მოწესრიგებული სტადიონებისა და სპორტული მოედნებით სარგებლობა.
--	---

5.2 .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.2 .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	<p>პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ, ხელოვნების დარგების სპეციფიკურობიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა მთლიანად სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც უხდებოდათ ფიქრი დროისა და ვითარების გათვალისწინებით სამუშაო რეჟიმის ახალი დღის წესრიგის შედგენასთან დაკავშირებით, ამ მხრივ არც ბოლნისის მუნიციპალიტეტია გამონაკლისი.</p> <p>კულტურული ტრადიციების დაცვისა და განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, შესაბამისად განხორციელდება სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების გამართვისათვის მხარდაჭერა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. სახელოვნებო განათლების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია. კულტურულ - საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.</p>
პროგრამის მიზანი	ბოლნისში მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია;

5.2.1 კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.2 .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02) 5.2 .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შემდეგი ორგანიზაციების: ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი“- ს, ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“- ს, ააიპ „ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ მხარდაჭერას, მათ მიერ წარმოებული სახელოვნებო განათლებისა და პროფესიული სახელოვნებო სასწავლო - შემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობას. აღნიშნული ორგანიზაციების განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას.
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის გაზრდა, კულტურის ღონისძიებების, ფესტივალების, კონცერტების და კულტურის სფეროს სხვა აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ხელოვნებისა და კულტურის სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა. კულტურულ-შემოქმედებით სფეროში მოღვაწეობის მოტივაცია;



5.2.1 .1. ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

<p>პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:</p>	<p>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)</p>
<p>ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)</p>
<p>ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია</p>	<p>მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.</p>
<p>ღონისძიების განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი.</p>
<p>ღონისძიების აღწერა</p>	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნეზე მეტ მდიდარ ისტორიას მოიცავს, დღიდან დაარსებისა, ისევე, როგორც დასის აწარმოებული ლეგენდარული და დამსახურებული წევრების, აგრეთვე ამჟამინდელი ვეტერანი და ახალი თაობის მიერ თავდადებით შექმნილი შარავანდედით მოსილი შემოქმედებითი ცხოვრების გამოცდილება, რომელიც მიუხედავად გავრცელებული კოვიდ პანდემიით გამოწვეული უმძიმესი მდგომარეობისა, იძლევა იმედს, ბოლნისში თეატრალური ცხოვრების მაქსიმალური მცდელობით ჩვეულ კალაპოტში დაბრუნებისა და მომდევნო სამი წლის (2022 – 2023 – 2024) უწყვეტი სამუშაო რეჟიმის - თეატრალური სეზონის უმტკივნეულოდ, დროისა და ვითარების შესაბამისად ეფექტურად წარმართვისათვის.</p> <p>პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ, ხელოვნების დარგების სპეციფიკურობიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა მთლიანად სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც უხდებოდათ ფიქრი დროისა და ვითარების გათვალისწინებით სამუშაო რეჟიმის ახალი დღის წესრიგის შედგენასთან დაკავშირებით, ამ მხრივ არც ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრია გამონაკლისი.</p> <p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს მრავალფეროვან და დატვირთულ თეატრალურ ცხოვრებას. თეატრში ადგილობრივი ნიჭერი ადამიანები არიან დასაქმებულები და პროფესიულ დონეზე ქმნიან კონკურენტუნარიან მაღალი ხარისხის შემოქმედებით პროდუქტებს. თეატრში, ქართველ და უცხოელ ავტორთა პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების პრემიერები დღესასწაულის სახეს ატარებს, კულტურული ცხოვრების ამ მეტად მნიშვნელოვანი ტრადიციის მიმართ დიდი მოლოდინი აქვს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, რომელსაც ბევრი მაყურებელი სხვადასხვა რეგიონებიდანაც სტუმრობს.</p> <p>2022 წლის შემოქმედებითი გეგმა:წარმოებაში ერთდროულად ჩაეშვას სამი სპექტაკლი, რომელსაც სამი სახვასადხვა რეჟისორი წარმოადგენს თეატრის სამხატვროხელმძღვანელის მიხედვით. ორი ურთიერთგანსხვავებული ჟანრის სპექტაკლი და ერთი საბავშვო - საშობაო ზღაპარი.ამასთანავე, ორი სპექტაკლის აღდგენა, სამის გაცვლითი საგასტროლო ჩვენება(ქვეყნის შიდა მასშტაბი) სპექტაკლებში განაწილებული იქნება დასის ყველა წევრი და მოწვეული იქნება დამატებითი არტისტები რეჟისორების მოთხოვნების მიხედვით.</p>
<p>ღონისძიების მიზანი</p>	<p>საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი გამდიდრების თვალსაზრისით ბოლნისის მუნიციპალიტეტში თეატრალური ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.</p>

5.2.1 .2. ა(ა)იპ - ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

<p>პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:</p>	<p>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)</p>
<p>ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ა(ა)იპ - ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01 02)</p>
<p>ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია</p>	<p>მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.</p>
<p>ღონისძიების განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ - ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო</p>



	სკოლა.
ლონისძიების აღწერა	<p>ლონისძიება ითვალისწინებს სახელოვნებო განათლების ხელშეწყობას, კერძოდ ბავშვებსა და მოზარდებში მუსიკის როლის გაზრდას - საფორტეპიანო (შვიდწლიანი) და კლასიკური გიტარის სწავლებას.</p> <p>სამუსიკო სკოლა, გარდა ქ. ბოლნისისა, ფილიალის სახით ფუნქციონირებს დაბა კაზრეთშიც.</p> <p>სკოლაში ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც საზოგადოებას თავის მიღწევებს აჩვენებენ შემაჯამებელი და საანგარიშო გაკვეთილებითა და კონცერტებით, აგრეთვე მათი აღსაზრდელების რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში ინტენსიური და წარმატებული მონაწილეობით, სკოლის კურსდამთავრებულების უმაღლეს საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებითა და უნარებით.</p> <p>განსაზღვრავს და სწავლობს საზოგადოების დამოკიდებულებებსა და მოთხოვნებს სახელოვნებო განათლების, კერძოდ სამუსიკო სკოლაში არსებული კლასების გარდა, სხვა მუსიკალური დისციპლინების - ინსტრუმენტების სასწავლო კლასების აღდგენა - დაფუძნების შესახებ საჭიროებებს.</p> <p>სამუსიკო სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ხდება წლის სალონისძიებო გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილია წლის აქტივობები: მუსიკალური საღამოები, შეხვედრები, სიმპოზიუმები, ფესტივალები, კონკურსები, საჩვენებელი გაკვეთილები, მინი და დიდი კონცერტები, გასტროლები და სხვ. როგორც სკოლის შიდა, აგრეთვე რეგიონალური, ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე, სკოლის მოსწავლეთა ინდივიდუალური და საჯუნდო შემსრულებლების მონაწილეობის თვალსაზრისით.</p> <p>სამუსიკო სკოლა, განვითარების ახალი კონცეფციული ხედვების დოკუმენტის შექმნისთვის პერიოდულად ეწევა, მშობლების, პედაგოგების, სამოქალაქო საზოგადოების, მუსიკის მოყვარული წევრებისა და სპეციალისტების შეკრებას და აკომპლექტებს სამუშაო ჯგუფს, რომელიც სწავლობს საზოგადოების აზრსა და შეხედულებებს, შეაბამისად შეიმუშავებს კონკრეტული სამომავლო - სამოქმედო გეგმებს, სადაც დეტალურადაა გაწერილი ის საჭიროებები, რომელიც მნიშვნელოვანია სამოსიკო სკოლის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოდერნიზაციისთვის, შემდგომში სკოლის მიმართ ინტერესის კიდევ უფრო გაზრდისა და ცნობადობის აწევის მიზნით, სკოლის მიზიდულობის დახვეწისა და შემდგომი სასწავლო - შემოქმედებითი პროცესის ეფექტურად წარმართვისა და წარმატებული მოღვაწეობისათვის.</p> <p>პერმანენტულად ხდება სამუსიკო სკოლაში არსებული საწავლო მეთოდოლოგიის გადახალისება - დახვეწა, საფორტეპიანო და საჯუნდო მიმართულებების განვითარებისთვის თვისობრივად ახალი ტენდენციების დანერგვა და სხვა სამუსიკო კლასების - სიმებიანი და ჩასახები ინსტრუმენტების სასწავლო კლასებზე ხელმისაწვდომობის დანერგვისათვის საჭიროებების განსაზღვრა, საკითხის უზრუნველყოფისთვის კი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კონკრეტული გეგმის შემუშავება.</p> <p>სკოლაში ახალი ინვენტარისა და მუსიკალური ინსტრუმენტების საჭიროებების განსაზღვრისა და შეძენისათვის, აგრეთვე სკოლის სამუშაო სივრცეების სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, თანამედროვე მოთხოვნებთან შესატყვისი ხარისხიანი და შედეგზე ორიენტირებული ეფექტური შემოქმედებითი სამუშაო პროცესის უზრუნველყოფისა და წარმართვისათვის, პერიოდულად ანხორციელებს შესაბამის ქმედებებს.</p>
ლონისძიების მიზანი	საზოგადოებაში მაღალი მუსიკალური კულტურის დანერგვა, აღორძინება და განვითარების სტაბილური ტენდენციების განსაზღვრა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და მასშტაბურობა. მომავალი თაობის სულიერი და ესთეტიკური აღზრდა.

5.2.1 .3. ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)
--	--



<p>ლონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)</p>	<p>ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)</p>
<p>ლონისძიების ბიუჯეტირების იერარქია</p>	<p>მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.</p>
<p>ლონისძიების განმახორციელებელი</p>	<p>მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; ა(ა)იპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი</p>
<p>ლონისძიების აღწერა</p>	<p>კულტურის ცენტრი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ზოგადი განვითარებისა და მისი საუკეთესოდ წარმოჩენის საქმეში ერთ - ერთ უმთავრეს როლს თამაშობს და ხშირ შემთხვევაში სავიზიტო ბარათის როლსაც ითავსებს.</p> <p>კულტურის ცენტრის განვითარების საკითხები მუდმივი განსჯის საგანს წარმოადგენს ადგილობრივი მმართველი ორგანოსათვის და ერთ - ერთი უმთავრეს პრიორიტეტული ზრუნვის მიმართულებას, რომელიც მქვადება მესაძლებლობის ფარგლებში სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის განხორციელებული ან მიმდინარე დაგეგმილი და დასაგეგმი მხარდამჭერი ღონისძიებებით.</p> <p>ლონისძიება ითვალისწინებს კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურისა და ხელოვნების ობიექტებისა და დაწესებულებების (8 - სასოფლო და 3 - ქალაქის ბიბლიოთეკა, 2 - მუზეუმი, 3 - კულტურის სახლი, 2 - სასოფლო კლუბი) მოვლა პატრონობას. კულტურის ცენტრი აღწერს ობიექტების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის (შენობა - ნაგებობები, აღჭურვილობა, ინვენტარი, რეკვიზიტი) მდგომარეობას და განსაზღვრავს გადახალისება - გაახლებისა და შეძენის, რეკონსტრუქცია - რემონტის, აღდგენითი და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ საჭიროებებს, რომელსაც წარუდგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას განხილვისათვის, გარდა ამისა ცდილობს მოიზიდოს ფინანსური რესურსი სხვადასხვა კერძო ფინანსურ ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების გზით.</p> <p>კულტურის ცენტრის ფუნქციონირების მთავარ სტრატეგიულ ხაზს წარმოადგენს - კულტურული მემკვიდრეობის, სახელოვნებო განათლებისა და პროფესიული ხელოვნების, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო და საღონისძიებო მიმართულებები:</p> <p>ა) კულტურული მემკვიდრეობის მოვლა პატრონობისა და დაცვის სფეროებში ქვეყნის მთავარ შესაბამის უწყებებთან - კულტურის სამინისტროსთან, სააგენტოსთან, ეროვნულ მუზეუმთან, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე მერიის შესაბამის სამსახურთან და ბოლნისის ეპარქიის წინამძღოლთან კულტურის ცენტრი ცდილობს შექმნას ეფექტური თანამშრომლობისა და ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების სტაბილური ტენდენციები. ისტორიულ ძეგლებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მისასვლელებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მომსახურეობის სერვისის თანამედროვე ხედვების განსაზღვრა, ჩამოყალიბება და გაუმჯობესებისათვის წარდგენა დაინტერესებული სტრუქტურებისადმი შემდგომი განხილვისა და რეაგირებისათვის.</p> <p>ბ) სახელოვნებო მიმართულების ნაწილში კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს პროფესიული - სახელოვნებო და ბავშვთა და მოზარდთა სახელოვნებო სწავლების სექციები. პროფესიული დასები კომპლექტდება ბავშვთა და მოზარდთა სახელოვნებო წრეებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდეგ, სადაც პროფესიონალურ დონეზე აგრძელებენ მსახურებას, რის შედეგადაც მოკრძალებული წვლილი შეაქვთ მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან საქმეში და ქმნიან კულტურული ცხოვრების საინტერესო პალიტრას. პროფესიული ნაწილის წარმომადგენლები იღებენ შრომის ანაზრაურებას ხელფასის სახით, ხოლო ბავშვთა და მოზარდთა სეგმენტში სწავლება და ცოდნის შეძენა ფასიანია, საიდანაც კულტურის ცენტრის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლების პროფილით ირიცხება და ხმარდება კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეს.</p> <p>გ) საგანმანათლებლო სეგმენტში მნიშვნელოვანი როლი</p>



ენეჟიკა მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების, აგრეთვე კულტურის სახლების სხვადასხვა შინაარსისა და დატვირთვის მქონე სფეროების გამართულ მუშაობას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, აგრეთვე ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემოსულ ვიზიტორთა მიმართ მაღალ დონეზე მომსახურების თვალსაზრისს, საამისოდ კი კულტურის ცენტრი სხვადასხვა სახის თანამედროვე სტანდარტების ეფექტური მექანიზმებისა და სერვისების შექმნასა და ჩამოყალიბებაზე ფიქრობს და შესაბამის ხედვებსა და წინადადებებს შეიმუშავებს.

დ) დაწესებულების შიდა და მუნიციპალურ ღონისძიებებს, დაკისრებული პასუხისმგებლობის, კომპეტენციისა და შესაბამისი რესურსის გამოყენების ფარგლებში უზრუნველყოფს კულტურის ცენტრი.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა სახისა და შინაარსის კულტურული, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი არაერთი ღონისძიება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღონისძიებების გაფართოების, გამრავალფეროვნებისა და დახვეწის ფორმები და ზოგადად კულტურული ცხოვრების დონის გაუმჯობესება მუდმივად საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას, რადგან ყველასთვის კარგად ცნობილია კულტურული აქტივობების მნიშვნელობა და მრავალმხრივი შინაარსობრივი დატვირთვა, თუ რა როლს თამაშობს საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფის სულიერი და ესთეტიკური განვითარებისა და მათში ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც, თავის მხრივ განაპირობებს მლიერი და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ორგანიზაცია - კულტურის ცენტრი პროფესიონალურ/კვალიფიციურ დონეზე, კვლევებზე დაყრდნობითა და საზოგადოებრივი განწყობების შესწავლის ხარჯზე, განსაზღვრავს მოქნილი და თანამედროვე ტენდენციებზე მორგებულ იმ დარგებისა და სფეროების საჭიროებებს, რაც მრავალმხრივ ხელშეწყობი ფაქტორი გახდება განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი საყურადღებოა შემოქმედებითი ინდუსტრიების შექმნა, რომელიც მუნიციპალიტეტის ეკონომიკის გაჯანსაღებაში კულტურისა და ხელოვნების წილის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

კოვიდ პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ, ხელოვნების დარგების სპეციფიკურობიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა მთლიანად სფეროს წარმომადგენლები, რომლებსაც უხდებოდათ ფიქრი დროისა და ვითარების გათვალისწინებით სამუშაო რეჟიმის ახალი დღის წესრიგის შექმნასთან დაკავშირებით, ამ მხრივ არც ბოლნისის კულტურის ცენტრია გამონაკლისი. დღეისათვის კულტურის ცენტრში შეიმუშავებულია ვითარებასთან ადაპტირებული, მაქსიმალურად ეფექტური მიდგომები, რაც ხელს უწყობს კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების განვითარების უწყვეტობის პროცესს

ღონისძიების მიზანი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია. კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და მასშტაბურობა. მომავალი თაობის სულიერი და ესთეტიკური აღზრდა.
---------------------------	--

5.2.2. კულტურული შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია (05 02 02)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) .კულტურის განვითარების ხელშეწყობა.(პროგრამული კოდი 05 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.2.2 კულტურული შენობა-ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია (05 02 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, კულტურის სახლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ტექნიკური აღჭურვა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც გულისხმობს არსებული და მშენებარე კულტურის ობიექტების ადაპტაციას მათ საჭიროებებთან.
ქვეპროგრამის მიზანი	კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტური მართვა სათანადო პირობებს ქმნის მაღალი ხარისხის კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდებისთვის, კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

5.3. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდება, მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებების განვითარებას, როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო და ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა და სხვა.
პროგრამის მიზანი	კულტურულ ცხოვრებაში ფართო საზოგადოების ჩართვა; მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება;

5.4. ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.4. ეპარქიის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 04)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა - ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში.
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების, ციხე - სიმაგრეების შენარჩუნება, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ადგილობრივი მდიდარი წარსულის საუკეთესო მტკიცებულების უტყუარი ნიმუშის გამოხატულება, მისი შეთავაზების მხარდაჭერა ფართო საზოგადოებისთვის, ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის, როგორც სულიერების, აგრეთვე კულტურული, რელიგიური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი ტურისტული კერებისა.



5.5. საგამომცემლო საქმიანობა.(პროგრამული კოდი 05 05)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	საგამომცემლო საქმიანობა.(პროგრამული კოდი 05 05)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური; შ.პ.ს. გაზეთი ბოლნისი.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს შპს „გაზეთი ბოლნისი“-ს დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს, ახალი ამბების და ბოლნისის მუნიციპალიტეტში პრობლემური და სხვა მიმდინარე მოვლენების საკითხების კვლევას, შესწავლასა და ანალიზს, საზოგადოებისათვის პრიორიტეტული საჭიროებების გამოკვეთას, ადგილიდან რეპორტაჟების, რუბრიკებისა და სხვადასვა საინფორმაციო პროდუქტების საშუალებით გაშუქებას, წვლილი შეაქვს ადგილობრივ მოსახლეობასა და მმართველ ორგანოსთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის ხელშეწყობაში გაზეთის როლის გაზრდაში, პრობლემებისა და სხვადასხვა საჭიროებების საკითხების ეფექტურად დამლევს კუთხით.
პროგრამის მიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჟურნალისტური საქმიანობისა და მედია საშუალების განვითარების ხელშეწყობა. ინფორმაციის მოპოვებისა და მიწოდების ეფექტურობა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და უზრუნველყოფა. მიმდინარე მოვლენებზე მოსახლეობის სწრაფი და სრულყოფილი ინფორმირება.

5.6. განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 05 06)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	5.6. განცხადება, რეკლამა და საეთერო დრო (პროგრამული კოდი 05 06)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა.

5.7. წარჩინებული სპორტსმენების,სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 07)

პრიორიტეტის დასახელება,	
-------------------------	--



რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	წარჩინებული სპორტსმენების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 07)
პროგრამული ბიუჯეტის იერარქია	სუბსიდიების, მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული საშუალო პროგრამაზე ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე) წარჩინებული სტუდენტები, რომელთა მაღალი აკადემიური მოსწრება დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((B) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა) დაფინანსდებიან ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე), სამაგისტრო პროგრამაზე მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა-150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე), სადოქტორო პროგრამაზე მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით ((A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა-300 (სამასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე და 1 მარტიდან 1 აგვისტომდე).</p> <p>ასევე, სპორტსმენებს, რომლებიც გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან:</p> <p>ა) სპორტის სხვადასხვა სახეობაში (დიდებში და ახალგაზრდებში) საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები და საქართველოს ნაკრების წევრები – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები – 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში საქართველოს პრიზიორები და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორები – 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.</p> <p>ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცემა სპორტსმენებზე, რომლებიც:</p> <p>ა) გახდებიან ოლიმპიური ჩემპიონები – 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 4 000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) გახდებიან ოლიმპიური პრიზიორები (II ადგილი) – 8 000 (რვა ათასი) ლარი, (III ადგილი) – 6 000 (ექვსი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) გახდებიან ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩემპიონები – 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე - 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ) გახდებიან ახალგაზრდული ოლიმპიადის პრიზიორები, (II ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ე) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები – 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>ვ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები, (II ადგილი) – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>ზ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>თ) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, (II ადგილი) – 3 000 (სამი ათასი) ლარი, (III ადგილი) – 2 000 (ორი ათასი) ლარი, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე – 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p> <p>ი) გასულ წელს გახდნენ ან/და მიმდინარე წელს გახდებიან ევროპის ჩემპიონები – 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, აგრეთვე მათ უშუალო მწვრთნელებზე - 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (გარდა გასული წლის იმ ჩემპიონი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისა, რომლებსაც ამ დამსახურებისთვის გასული წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან უკვე მიეცათ ფულადი ჯილდო);</p>



ბიუჯეტების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური;
პროგრამის აღწერა	ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. მათი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია შექმნას სათანადო პირობები, რათა მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანმიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად.
პროგრამის მიზანი	"თანადაფინანსების პროექტის" ქვეპროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქეების, საინიციატივო ჯგუფების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.

5.9. ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 09)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 09)
პროგრამული ბიუჯეტების იერარქია	მომსახურების მიწოდების/სუბსიდირების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად იყონ ჩართულნი და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ მუნიციპალიტეტის განვითარებაში, ამისთვის საჭიროა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება. ახალგაზრდული მხარდაჭერის ქვეპროგრამის .
პროგრამის მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაციას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობას, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნას, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამ. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	6890.86	5316.37	5420.14	5245.60	5295.60	5295.60
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	526.18	593.80	617.00	617.00	617.00	617.00
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	526.18	593.80	617.00	617.00	617.00	617.00
06 01 01 01	ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრი“	317.10	363.80	370.00	370.00	370.00	370.00
06 01 01 02	სადერატიზაცო, სადუხინსექციო და სადუხინფექციო სამუშაოები	209.08	230.00	247.00	247.00	247.00	247.00
06 02	სოციალური პროგრამები	6364.68	4722.57	4803.14	4628.60	4678.60	4678.60
06 02 01	ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	171.57	200.00	180.00	200.00	200.00	200.00
06 02 02	შშპ პირების დახმარებები	378.15	445.00	445.00	445.00	445.00	445.00
06 02 03	ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	529.38	667.20	766.00	725.00	725.00	725.00
06 02 04	სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა	16.21	40.00	40.00	40.00	40.00	40.00
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა	0.50	15.00	0.00	15.00	15.00	15.00
06 02 06	„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების	7.20	12.00	7.00	12.00	12.00	12.00



	მატერიალური დახმარება						
06 02 07	გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	131.80	170.75	100.00	100.00	100.00	100.00
06 02 08	სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა	1903.74	1187.90	600.00	400.00	400.00	400.00
06 02 09	ბინის ქირით უზრუნველყოფა (უსახლკაროების დახმარება)	19.30	45.00	50.00	20.00	20.00	20.00
06 02 10	სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა	31.52	45.00	45.00	45.00	45.00	45.00
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	64.89	100.00	100.00	100.00	100.00	100.00
06 02 12	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათი	638.53	748.00	842.00	842.00	842.00	842.00
06 02 13	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	11.80	40.00	40.00	40.00	40.00	40.00
06 02 14	ერთჯერადი დახმარებები	868.10	260.00	300.00	400.00	400.00	400.00
06 02 15	სარიტუალო მომსახურება	2.75	5.00	4.00	3.00	3.00	3.00
06 02 16	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	1512.24	664.72	1092.54	1050.00	1100.00	1100.00
06 02 17	ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრი	77.00	77.00	84.00	84.00	84.00	84.00
06 02 18	ბავშვთა მხარდაჭერა	0.00	0.00	95.00	95.00	95.00	95.00
06 02 19	მარტოხელა დედების დახმარება	0.00	0.00	12.60	12.60	12.60	12.60

6.1. ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01)



პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	6.1. ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01)
პროგრამული ბიუჯეტების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

6.1.2 . საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.(პროგრამული კოდი 06 01 01)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) 6.1. ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	6.1.2 . საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.(პროგრამული კოდი 06 01 01)
ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დავადებათა ადრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრი“-ს და შპს დეზ-ფექტი“-ს დაფინანსებას, რომლის მიერ განახორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმიედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადენინსექციო და სადენინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვებებში, ნავის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღმრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმიედო სიტუაციის შექმნა.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დაავადებათა ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა. ქვეყნის მოსახლეობის დაცვა ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შექმნა. მუნიციპალიტეტში გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის მუშაობის გზით.დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიული და პროფესიით



განპირობებული დაავადებების პრევენციის გზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობა.

6.1.2 .1. ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.(პროგრამული კოდი 06 01 01 01)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.(პროგრამული კოდი 06 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.(პროგრამული კოდი 06 01 01 01)
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.(პროგრამული კოდი 06 01 01 01)
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.(პროგრამული კოდი 06 01 01 01)
ღონისძიების აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება. Covid 19 -ის დაავადების დროული გამოვლენა გამოვლენის ხელშეწყობა, დაავადებათა ენდემური გავრცელების შენარჩუნება, მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; კოვიდ საწინააღმდეგო და გეგმიური ვაქცინაციის მოცვის გაუმჯობესება
ღონისძიების მიზანი	მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური საიმედო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

6.1.2 .2. სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები(პროგრამული კოდი 06 01 01 02)

პრიორიტეტის, პროგრამის და ქვეპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ღონისძიება:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) ჯანდაცვის პროგრამები.(პროგრამული კოდი 06 01) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა.(პროგრამული კოდი 06 01 01)
ღონისძიების დასახელება (პროგრამული კოდი)	სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები(პროგრამული კოდი 06 01 01 02)
ღონისძიების ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების; მრავალწლიანი.
ღონისძიების განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; შპს "დეზ-ეფექტი"
ღონისძიების აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი სადერატიზაცო (მაგნე მღრნელების წინააღმდეგ), სადეზინსექციო (მაგნე მწერების წინააღმდეგ) და სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელების ფარგლებში შესრულდეს სადერატიზაცო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემავალ საბავშვო ბაღებში, ორგანიზაცია დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ შენობებში, ქ.ბოლნისის ნაგვისშემკრებ ბუნკერებზე,დაბა კაზრეთის ნაგვის შემკრებ ბუნკერებზე,



	ქ.ბოლნისისა და დაბა კაზრეთის დასასვენებელ სკვერებში, მუნიციპალური ტრანსპორტი.
ლონისძიებისმიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

6.2 .სოციალური პროგრამები. (პროგრამულიკოდი 06 02)

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამულიკოდი 06 00)
პროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	6.2 .სოციალური პროგრამები. (პროგრამულიკოდი 06 02)
პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება/მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური ახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა და სპორცმენტთა სოციალურ დახმარებას, იძულებულ გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.
პროგრამისმიზანი	პროგრამისმიზანია, მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისათვის შექმნას ფინანსური გარანტიები სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

6.2.1. ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამულიკოდი 06 02 01)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის და სხვა სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 01)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის უფასომედიკამენტებით(2000 ლარი) უზრუნველყოფა. დასაფინანსებელ ბენეფიციართა კონტიგენტი: ა) ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეები; ბ) ბრონქიალური ასთმით დაავადებული მოქალაქეები; გ) ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეები; დ) პარკინსონით დაავადებული მოქალაქეები; ე) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციით დაავადებული მოქალაქეები; ვ) შიზოტიპური აშლილობა.



ქვეპროგრამის მიზანი	ზემოაღნიშნული შესაძლო გართულებების პრევენცია და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
---------------------	--

6.2.2. შშმ დახმარებები (პროგრამული კოდი 0602 02)

პრიორიტეტის დაპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	შშმ დახმარებები (პროგრამული კოდი 0602 02)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების, უსინათლო შშმ პირების და დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. აღნიშნული ბენეფიციარების სახცვორებელი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.</p> <p>ყოველთვიური მატერიალური დახმარება კალენდარული წლის განმავლობაში გაეწევა შემდეგ ბენეფიციარებს:</p> <p>ა. მხედველობის მკვეთრად დამნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის ბენეფიციარებს - 130 (ასოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე იმ ბენეფიციარებს, რომლებიც მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში იღებენ სამედიცინო მომსახურებას დახმარებას მიიღებენ - 130 (ას ოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამედიცინო დაწესებულებებში იღებენ სამედიცინო მომსახურებას - 200 (ორასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ. ყრუ-მუნჯებს - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ. 18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე:</p> <p>დ. ა) ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ. ბ) კლასიკური ფენილკეტონურიით დაავადებულ ბენეფიციარებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ. გ) აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ე. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს (18 წლამდე), რომლებიც საჭიროებენ მომვლელს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p> <p>ვ. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეინტეგრირებულ შშმ პირებს - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;</p>
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება. შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზია;

6.2.3 ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 03)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა. (პროგრამული კოდი 06 01 01) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 03)



ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია	მომსახურების მიწოდება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; ა(ა)იპ - „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უზრუნველყოფის და უმჯობესების ღონისძიებები, კვებით და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა; განსაკუთრებული მზრუნველობის საჭიროების მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მინ-მოვლის მომსახურებით; ძალადობის მსხვერპლის ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღდგენა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა, მსხვერპლთა დაცვის, დახმარების აღდგენის ინიციატივის საფუძვლების შექმნა. ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია.
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება

6.2.4. სოციალურად დაუცველი ერთწლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 04)
ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა და სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება. სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში ან იმ ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის შვილი და მძიმე მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, რაც დასტურდება მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების სპეციალისტის (სოციალური მუშაკის) დასკვნით ერთ წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველსაყოფად, დახმარება გაეწევათ თვეში - 80 (ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველ ოჯახებში ერთ წლამდე ბავშვების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

6.2.6. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზენეფიციარების მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)



პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამულიკოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამულიკოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რეიტეგრირებული ბავშვების ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, აღნიშნული ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად მატერიალური დახმარება გაეწევათ „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ რეიტეგრირებულ 18 წლამდე არასრულწლოვნებს – 100 (ასი) ლარის ოდენობით;
ქვეპროგრამის მიზანი	მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

6.2.7. გათბობის სეზონისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამულიკოდი 06 02 07)

პრიორიტეტის დაპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამულიკოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამულიკოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამულიკოდი)	„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება (პროგრამულიკოდი 06 02 07)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების, სოციალურად დაუცველი შშმ პირების ოჯახების, აგრეთვე სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების გათბობის სეზონისათვის მატერიალური უზრუნველყოფა. გათბობის სეზონის დასაწყისში ერთჯერადი მატერიალური დახმარება ბოლნისის მუნიციპალიტეტის იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც მიეწოდება ბუნებრივი გაზი, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო სადაც არ მიეწოდება ბუნებრივი გაზი, ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორასორმაცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ: ა. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მარტოხელა პენსიონერებს; ბ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) შშმ პირების ოჯახებს; გ. სოციალურად დაუცველ (65 000 მდე სარეიტინგო ქულა) მრავალშვილიან (სამი და მეტი არასრულწლოვანი) ოჯახებს.
ქვეპროგრამის მიზანი	მზრუნველობა მოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

6.2.8. სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამულიკოდი 06 02 08)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამულიკოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამულიკოდი 06 02)
---	---



<p>ქვეპროგრამის დასახელება</p> <p>(პროგრამულიკოდი)</p>	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამულიკოდი 06 02 08)</p>
<p>ქვეპროგრამული ბიუჯეტის იერარქია</p>	<p>სუბსიდირება; მრავალწლიანი.</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>მერიის სოციალურ იდა ჯანდაცვის სამსახური.</p>
	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები:</p> <p>1. ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარებს</p> <p>კალენდარული წლის განმავლობაში სამედიცინო დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში) – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>2. სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთაც ჰყავთ 16 წლამდე ასაკის წევრი და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 130 000-ს, დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მედიკამენტებით მკურნალობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>4. სტაციონარული, ამბულატორიული და დიაგნოსტიკური მკურნალობისათვის 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) ლეიშმანიოზით დაავადებულ ბენეფიციარებს;</p> <p>ბ) დედ-მამით ობოლ 18 წლამდე არასრულწლოვნებს;</p> <p>გ) ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულ ბენეფიციარებს.</p> <p>5. ფარისებრი ჯირკვლით დაავადებულ ბენეფიციარებს სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისთვის დახმარება გაეწევათ – 3 000 (სამი ათასი) ლარის</p>



	<p>ოდენობით.</p> <p>6. ომისა და სამხედრო ძალის ვეტერანებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>7. იძულებით გადაადგილებულ პირებს სამედიცინო დახმარება გაეწევათ:</p> <p>ა) სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>ბ) დიაგნოსტიკური მკურნალობისთვის – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ) მედიკამენტური მკურნალობისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>8. ფსორიაზით დაავადების მედიკამენტური მკურნალობისათვის დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით გაეწევათ:</p> <p>ა) სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში;</p> <p>ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.</p> <p>9. ფენილკეტონურიით და ჰიპერფენილლანემიით დაავადებულ ბავშვებს (სპეციალური საკვების შესაძენად) დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში – 4200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით.</p> <p>9¹. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს რეაბილიტაცია/აბილიტაციისათვის წლის განმავლობაში დახმარება გაეწევათ 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.</p> <p>9². ამ მუხლის 1-9 პუნქტებით გათვალისწინებული ბენეფიციარები ორი ან მეტი კატეგორიის არსებობის შემთხვევაში, დახმარებას მიიღებენ მხოლოდ ერთი კატეგორიიდან.</p> <p>10. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობების დაცვით რეგისტრირებული იმ მოქალაქეების (ოჯახების), რომლებიც განცხადებით მომართვის პერიოდში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს სილატაკის დამღვეის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა, მათი მომართვის პერიოდში მძიმე მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას და ესაჭიროება სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ან თანადაფინანსება, აგრეთვე იმ მოქალაქეების, რომელზეც განცხადების განხილვის ეტაპისთვის ვრცელდება წესით დაწესებული შეზღუდვები (მაგ: ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი დახმარებები), განცხადებას განხილავს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან მერის წარმომადგენლის შუამდგომლობისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელია გამონაკლისის სახით დახმარება გაეწიოს ამ პუნქტით განსაზღვრულ პირს, კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით (აქედან მედიკამენტური მკურნალობისთვის - არაუმეტეს 1000(ერთი ათასი) ლარის ოდენობით).“</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი</p>	<p>ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.</p>

6.2.9. ბინის ქირით უზრუნველყოფა (უსახლკაროების დახმარება) (პროგრამული კოდი 06 02 09)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.



პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ბინის ქირით უზრუნველყოფა(უსახლკაროების დახმარება) (პროგრამული კოდი 06 02 09)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურ ზღვარს ქვევით მყოფი უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა. ბინის ქირა არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად აუნაზღაურდებათ: ა. სოციალურად დაუცველ უსახლკარო - მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და აღნიშნული ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში; ბ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლს.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტზე მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

6.2.10. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 02 10)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 10)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური დაჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, დ. აღმაშენებლის ქ. უ/ნ-ში და დაბა კაზრეთში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია 250კვ/სთ - ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი - გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო - ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება ქ. ბოლნისში, სიონის ჩიხი N1-ში მდებარე სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური ხარჯები თითოეულ ოჯახზე: ელექტროენერგია სრულად - საერთო მრიცხველის ჩვენების მიხედვით; ბუნებრივი აირი - გათბობის სეზონზე (15 ნოემბრიდან 15 აპრილამდე) თვეში 250მ3, ხოლო - ზაფხულის სეზონზე თვეში 50მ3, ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით.
ქვეპროგრამის მიზანი	ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.



6.2.11. სტუდენტთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

პრიორიტეტის დაპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სტუდენტთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტუდენტების წახალისებას და ფულადი ფორმით დახმარებას. ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით გაეწევათ (მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე და 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე) შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ა. ობოლ და მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან სტუდენტებს - 50 (ორმოცდაათი) ლარი; ბ. სტუდენტებს იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან - 50 (ორმოცდაათი) ლარი; გ. სტუდენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა და ქულა მიენიჭათ გასული ან მიმდინარე წლების პერიოდში) - 50 (ორმოცდაათი) ლარი; დ. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი) - 50 (ორმოცდაათი) ლარი; ე. სტუდენტებს ოჯახებიდან, რომელთაც ჰყავთ ორი ან მეტი სტუდენტი - თითოეულს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; ვ. შშმ სტუდენტებს - 100 (ასი) ლარის ოდენობით; ზ. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც გახდა სტუდენტი - 100 (ასი) ლარის ოდენობით. ზემოთ აღნიშნული სამი ან მეტი კატეგორიის მქონე სტუდენტები დაფინანსდებიან ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	სტუდენტების მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

6.2.12. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათი (პროგრამული კოდი 06 02 12)

პრიორიტეტის დაპროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. (პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათი
(პროგრამული კოდი)	(პროგრამული კოდი 06 02 12)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	მომსახურების მიწოდების; მრავალწლიანი.



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. შპს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შპს „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახური“-ს დაფინანსებაში და მუნიციპალური ტრანსპორტით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შეღავათიანი ტარიფით მგზავრობას.
ქვეპროგრამის მიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

6.2.13. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და კარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 013)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 013)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერად მატერიალურ დახმარებას მიიღებენ: ა. მიმდინარე წლის 9 მაისისთვის - მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; ბ. მიმდინარე წლის 8 აგვისტოსთვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) - 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გარდაცვლილთა ოჯახები - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით; გ. მიმდინარე წლის 27 სექტემბრისათვის (ოჯახის მხოლოდ ერთი წევრი) - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახები- 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;
ქვეპროგრამის მიზანი	ომის ვეტერანთა მდგომარეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

6.2.14. ერთჯერადი დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 14)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	ერთჯერადი დახმარებები (პროგრამული კოდი 06 02 14)
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილი იქნებიან: ა. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს - 100 (ასი) ლარის ოდენობით; ბ. სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 150 000-მდე და ქულა მიენიჭათ გასული და მიმდინარე წლების პერიოდში - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ბ. უკიდურესად შეჭირვებული ოჯახები, რომელთაც ჰყავთ სასკოლო ასაკის ბავშვები, სასკოლოდ შესაბამისი საჭიროებების შესაძენად ერთჯერადად, ოჯახის/თემის სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე- 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p> <p>გ. ასი და მეტი წლის ხანდაზმული - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული მსხვერპლი- 100 (ასი) ლარის ოდენობით;</p> <p>ე. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ წესით განსაზღვრული პირობის დაცვით რეგისტრირებულ იმ დატაკი ოჯახების წევრებს, რომლებიც განცხადებით მომართვის მომენტში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურეობის სააგენტოს სიდატაკის დამღვევის სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მომართვის პერიოდში მძიმე მათი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა და არ მიეკუთვნება გაცემის წესის მიხედვით განსაზღვრულ არცერთ კატეგორიას, ერთჯერადი მატერიალური დახმარება არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით, გაეწევათ მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი „ერთჯერადი დახმარების მიღების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი სამუშაო ჯგუფის“ დასკვნის საფუძველზე, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენლების ადგილზე შესწავლის აქტის გათვალისწინებით.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელშეწყობის საფუძველზე გაზრდის გზით.

6.2.15. სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 15)

ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით ყოველი გარდაცვლილის ოჯახზე გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ფინანსური ხელშეწყობის საფუძველზე გაზრდის გზით.

6.2.16. სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება(პროგრამული კოდი 06 02 16)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება,	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	(პროგრამული კოდი 06 00) სოციალური პროგრამები. (პროგრამული კოდი 06 02)
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 02 16)
ქვეპროგრამული ბიუჯეტების იერარქია	სუბსიდირება; მრავალწლიანი.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.
	ქვეპროგრამის ფარგლებში სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანებისას მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად. 2022-2023 წლებში სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიათის ბუნების მოვლენის-მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი), ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნისა და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p> <p>ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზიანის აღსადგენად, დაზარალებულ ოჯახებს 500 (ხუთასი) ლარამდე ზარალი აუნაზღაურდებათ სრულად, ხოლო 500 (ხუთასი) ლარის ზემოთ – მიყენებული ზიანის 70%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 20000 (ოცი ათასი) ლარისა.“ ხოლო სტიქიის (უპირატესად დამანგრეველი ხასიითის ბუნების მოვლენის-მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი) შედეგად დაზარალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებათ სრულად, წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის შესაბამისად.</p> <p>სტიქიის, ხანძრის, სხვა უბედური და ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, საქონლის სადგომზე, საქონლის საკვებსა (თივა) და საკვების შესანახ თავლაზე მიყენებული ზიანის აღსადგენად დაზარალებულ ოჯახებს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევათ ზარალის ოდენობის შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნის და მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.</p> <p>მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელზე, აგრეთვე საქონლის სადგომზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში, დაზარალებულ ოჯახებს ზარალი აუნაზღაურდებათ მიყენებული ზიანის 70%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა, ხოლო საქონლის საკვებზე (თივა), აგრეთვე საკვების (თივა) შესანახ თავლაზე მიყენებული ზარალის შემთხვევაში–არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.</p>
